პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 46-ე წელი. № 23 (13417) | პარასკევი, 28 იანვარი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის შესახვედრად

შრომითი ნოგალი

გურჯაანი. (საკ. კორ.). გურჯაანის აგურ-კრამიტის ქარხნის კოლექტივი ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. იანვრის პირველი ნახევრის დავალება მეაგურეებმა 103 პროცენტით შეასრულეს, მშენებლებს მისცეს 450 ათასი ცალი მაღალი ხარისხის აგური.

ქარხანა მოწინავე ადამიანებით ამაყობს. მათ შორის არიან ცვლის უფროსები გ. ქარლიშვილი და ნ. ხანიშვილი, მუშები ა. მედულაშვილი, ვ. მაზნანოვი, ნ. სიმონიშვილი, ო. ზავრაშვილი, ნ. თუთაშვილი და სხვები.

ბათუმი. (საკ. კორ.). ახალი ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე ნაყოფიერად მუშაობს ბათუმის რკინიგზის სადგურის კოლექტივი. განრიგის მიხედვით იცლება და იტვირთება ვაგონები, იგზავნება მატარებლები. მარტო უკანასკნელ ორ დღეში სადგურიდან 10 მძიმეწონიანი მატარებელი გავიდა.

განსაკუთრებით აქტიურობს სადგურის მორიგის ა. ურუშაძის ცვლა. მან ნორმის გადამეტებით 600 ტონა ტვირთი გაგზავნა. დღე არ გავა ისე, რომ რკინიგზელებმა ზენორმატიული ტვირთის გადატანით არ ისახელონ თავი. ეს კი საბელმწიფოს ათეულ ათასობით მანეთ ეკონომიას აძლევს.

საქართველოს ქურქ-ბეწვეულის ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც ბაშვის ქურქებს, პალტოებს, ქუდებს, მამაკაცის პიჯაკებს, ელეგანტურ ... დუქციას უშვებს, ახალი წლის პირველი 20 დღის გეგმა 111 პროცენტით შეასრულა.

შრომაში თავი ისახელეს ზედაპირის მკერავმა მ. ჭილაშვილმა, მექუდემ ა. შინჯიკაშვილმა, ბეწვის შემრჩევმა ს. ებილაშვილმა, ქსოვილის გამომჭრელმა რ. ედიგაროვმა, წუნმდებელმა ა. მათიაშვილმა, ტყავის გამომკვრელმა გ. ოდიშერიძემ, ქურქების მკერავმა ბ. ზინდრიშვილმა.

ფაბრიკის კოლექტივი მონდომებით შრომობს სკკპ XXIII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.



სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა თბილისის ინსტრუმენტული ქარხნის ფრეზების დამამზადებელი საამქრო. ამ საამქროს კოლექტივი ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას და გადაწყვიტა წელს დაზოგოს 2 ტონა ლითონი. საამქროს ბევრი პყავს მოწინავე ადამიანები, რომლებმაც თავდადებული შრომით ქარხნის კოლექტივში დაიმსახურეს პატივისცემა და სიყვარული. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ფრეზების ამლესავებს ლიანა ბუმბულიძეს (მარჯვნივ) და ანატოლი პეტროვს (მარცხნივ), რომლებსაც ნედლეულის ეკონომიის შესახებ ესაუბრება ქარხნის მთავარი ტექნოლოგი ზაურ გორგოშიძე.

ფოტო ა. ჭელიძისა.

საკოლმეურნეო წყობილების მძლავრი ძალა

კოლმეურნე გლეხობა სკკპ XXIII ყრილობას ეგებება. მინდვრებისა და ფერმების მილიონობით მუშაკი ამ დღეებში შრომითს ვახტზე დგას და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ღირსეულად აღნიშნოს ეს შესანიშნავი მოვლენა პარტიისა და მთელი ხალხის ცხოვრებაში, ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებში წლის შედეგებს აჯამებენ. ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, მისი ეკონომიკის განმტკიცებაზე, პროდუქციის წარმოების ზრდაზე, სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე.

საკოლმეურნეო წყობილების შექმნა და განმტკიცება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია. საკოლმეურნეო წყობილება მთლიანად აკმაყოფილებს სოფლად თანამედროვე საწარმოო ძალების განვითარების დონისა და მოთხოვნილებებს, უზრუნველყოფს მძლავრი ტექნიკის, მეცნიერების მიღწევების ეფექტიან გამოყენებას, შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებას. ცხოვრებამ ცხადყო, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელი შესაძლებლობას იძლევა ყოველმხრივ შეავსებამოთ კოლმეურნეთა პირადი ინტერესები საზოგადოებრივ, საერო-სახალხო ინტერესებთან, სტიმულს აძლევს წარმოების ზრდას.

კოლმეურნეობის ძალაა მისი ღრმად დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანთა ფართო მონაწილეობა არტელის საქმეების მართვაში, მათი ინიციატივის განვითარება. კოლმეურნეობა სამართლიანად ითვლება კომუნიზმის სკოლად გლეხობისათვის, „კოლმეურნეობა როგორც მეურნეობის საზოგადოებრივი ფორმა, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — ორგანიზაციის ხასიათის, იმ დემოკრატიული საფუძვლების მიხედვით, რომლებიც სულ უფრო განვითარდება, უზრუნველყოფს იმას, რომ წარმოება თვით კოლმეურნეთა მასების მართონ, გაიშალოს მათი შემოქმედებითი ინიციატივა, კოლმეურნეები აღიზარდონ კომუნიზმის სულისკვეთებით".

პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა კვლავაც განვითარდეს სოფლის შრომელთა თვითმოქმედება და შემოქმედებითი აქტივობა, განმტკიცდეს საკოლმეურნეო დემოკრატია. მისი ძირითადი პრინციპები ისახა სასოფლო-სამეურნეო არტელის „ეკონომ მოქმედ წესდებაში, რომელიც მიიღო დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობამ და რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაში.

ამავე დროს სანიმუშო წესდებაში, რომელიც დამტკიცებული იყო ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ, ბევრი რამ მოძველდა. ცხოვრებამ მოითხოვა შემუშავდეს ახალი წესდება, რომელიც შეესაბამება კოლმეურნეობაზა განვითარების ახლანდელ დონეს, განსაზღვრავს მათ კონკრეტულ ამოცანებს კომუნისტურ შენებლობაში, დაგეგმარება მეცნიერულ საფუძველზე მოვაწყოთ დიდად რენტაბელური საზოგადოებრივი წარმოება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა მუშაობა გაწიეს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების შესაბამისად ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა მუშაობა გაწიეს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების შესაბამისად ადგილობრივ პირობებთა მოსამზადებლად. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა მის შემუშავებას, აგრეთვე კოლმეურნეთა მასებს სრულიად საკავშირო ყრილობისათვის მზადებას, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა კომისია, რომელსაც დაევალა შეისწავლოს წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისათვის, რომლებიც წარმოადგინეს ... რაიონმა, ოლქებმა, მხარეებმა, რესპუბლიკებმა, საერთაშორისო დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა, აგრეთვე გამოითქვა შრომელთა წერილებში, და შეიმუშაოს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების პროექტი. კომისიაში შევიდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლები. ახალი წესდების შესადგენად მოწვეული არიან მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და ბრიგადირები, სოფლის სპეციალისტები, მეცნიერები.

ამ ბოლო დროს ცენტრალური და ადგილობრივი პრესის ფურცლებზე ქვეყნდება სტატიები და წერილები, რომლებიც გამოთქმულია კონკრეტული წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდების შესახებ. ბევრი კოლმეურნეები, კომუნისტები, წარმოების ორგანიზატორები და სპეციალისტები იჩენენ დიდ დაინტერესებას საკოლმეურნეო წყობილების დემოკრატიული საფუძვლების შემდგომი განმტკიცებითა. სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ახალმა წესდებამ ხელი უნდა შეუწყოს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, ადამიანთა შემოქმედებითი ინიციატივის გაშლას, უზრუნველყოს, რომ კოლექტიურ წარმოებას თვით კოლმეურნეები მართავდნენ.

კოლმეურნეობებში ამჟამად საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები იწყება, ახლა ეს კრებები ეწყობა განსაკუთრებულ პირობებში. მარტის პლენუმის შემდეგ დაისახა ფართო გასაქანი კოლმეურნეთა შემოქმედებისათვის, გაბედული ძიებისათვის, შრომითი აქტივობის აღმავლობისათვის, საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარება, საზოგადოებრივ საქმეებში კოლმეურნეთა ფართო შესვლა. მონაწილეობა ხელს შეუწყობს იმ დიდი ამოცანების წარმატებით განხორციელებას, რომლებიც პარტიამ დაუსახა სოფლის მეურნეობას.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა პრაქტიკული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, სოფლის კომუნისტებს კრებების მოწყობაში. საკოლმეურნეო დემოკრატიის მტკიცედ დაცვა, ყველა მშრომელის მონაწილეობა საზოგადოებრივი წარმოების, სოფლის ცხოვრების, ეკონომიკა და კულტურის მომწიფებული საკითხების განხილაში ხელს შეუწყობს რეზერვების ყველაზე სრულად გამოყენებას, კოლმეურნეობათა შემდგომ ეკონომიურ ზრდას.

კოლმეურნეობების საანგარიშო-საარჩევნო კრებები ეწყობა მინდვრის მოშავალი სამუშაოებისათვის გაშლილი მზადების პერიოდში. მიწათმოქმედებმა, და მექანიზატორებმა ბევრი რამ უნდა გააკეთონ, რომ კარგად მოემზადონ გაზაფხულისათვის, მოიყვანონ წელს უხვი მოსავალი. თვითეული საკოლმეურნეო არტელის მოვალეობაა სავსებით შეიარაღებული შეხვდეს ხუთწლედის პირველ გაზაფხულს.

საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მომდინარე წელს კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა. იგი დაამტკიცებს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალ წესდებას, რომელიც გახდება ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობათა ცხოვრების წარმმართველი და ორიგინალურებული ძირითადი კანონი. იხელმძღვანელებს რა ამ კანონით, კოლმეურნე გლეხობა ახალ წარმატებებს მოიპოვებს იმ ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც ჩვენმა პარტიამ დაუსახა სოფლის მეურნეობას კომუნიზმისათვის ბრძოლის თანამედროვე ეტაპზე.

„პრავდის" 27 იანვრის მოწინავე.

... ახალი ტრასები

ქრმბანი, 26 იანვარი. (საკ. კორ.). სომხეთის მთებში დღეს აიწყო დიდი ძაბვის ელექტროგადაცემის ახალი ხაზის მშენებლობა. ხაზი ენერგიას მიიწვდის რესპუბლიკის აღმოსავლეთის სპილენძლიბადების საწარმოებს, „სასოფლო-სამეურნეო რაიონებს. მისი სიგრძე დაახლოებით ასი კილომეტრი. ტრასა გადაკვეთს ოთხ სწრაფ მდინარეს და მთაგრეხილს ორი ათას მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ელექტროქსელის სამშენებლო ტრესტის № 54 ... ...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

უფრო აქტიურად სოფლად მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაძღოლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ** თავის მოხსენებაში **„საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სოფლად მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების საქმეში“** თქვა:

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი შეიკრიბა იმ დღეებში, როცა საქართველოს სს რესპუბლიკის სამშობლოს უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოების გამო აღფრთოვანებული საბჭოთა საქართველოს მშრომელნი სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ საბჭოთა ქვეყნის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას, ემზადებიან ამისათვის, რომ ღირსეულად, ახალი წარმატებებით შეხვდნენ ამ დიდებულ ლოზუნგებს მოგლენებს ჩვენი რესპუბლიკისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა აღნიშნა, რომ საჭიროა მუდამ ეზრუნოდეთ სოფლის მშრომელთა ეკონომიკისა და ყოფაცხოვრების შემდგომი განვითარებისათვის. ეს ახალ მოთხოვნებს უყენებს სოფლის ყველა იდეოლოგიური და კულტურული კერის საქმიანობას.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, რომლის საშუალებით ჩვენი პარტია ავითარებს მეღონობით მშრომელის შეგნებულ რევოლუციურ შემოქმედებას, ბაძავს მათ კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, არის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) და მომდევნო პლენუმების შემდეგ განვლილ პერიოდში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.

ბევრი პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება, ამბობს შემდეგ ამბ. სტურუა, გვიჩვენებს, რომ ფრიად სასარგებლოა არა ბარტო აგიტატორთა ლექციები და საუბრები, გადაცემები რადიოთი და ტელევიზიით, სტატიები, მოთხრობები და ნარკვევები გაზეთებსა და ჟურნალებში, წიგნები, კინოფილმები, არამედ აგრეთვე მასებთან პოლიტიკური მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიც არის ძველ ბოლშევიკებთან, სოციალისტური შრომის ვეტერანებთან, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან შეხვედრები, თემატიკური საღამოები და დღესასწაულები, ლამპრობა სამახსოვრო ადგილებში, რეგიონალური და ბაბრძოლო დიდების შუზეუმების შექმნა, იმ გმირთა ხსოვნის უკვდავყოფა, რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს სამშობლოსთვის, შრომითი კოლექტივების საბეფო კავშირი ჯარს ნაწილებთან და საბრძოლო ხომალდებთან, ზეიმთა გაცილება საბჭოთა არმიის რიგებში და მრავალი სხვა.

შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი საგულისხმო მაგალითი, თუ როგორ ეხმარება უნარიანად დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა პარტიულ ორგანიზაციებსა და კოლექტივებს წარმატებით გადაჭრან სამეურნეო და კულტურული შენებლობის ამოცანები.

მაგრამ ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი ანაკეთებს ჯერჯერობ მნიშვნელობას ამ დიდ საქმეს. მას ზოგჯერ ასრულებენ ნაჩქარევად, ზერელედ, ანგარიშისათვის. ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დაძლეული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მოწყვეტა ცხოვრებისაგან. ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში მთელ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას, მაგრამ ნაკლებად ინტერესდებიან, რამდენად ქმედითია ეს ღონისძიებები, რა გავლენას იხდენენ ამა თუ კიდეებულ ადამიანთა ქცევაზე. ამავე დროს კი სწორედ ეს არის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მთავარი აზრი.

საგაზეთო მუშაობის წარმატება, ხაზგასმით აღნიშნავს მომხსენებელი, ბევრადაა დამოკიდებული აგიტატორთა სწორ შერჩევაზე, განაწილებაზე, თეორიულ და პოლიტიკურ მომზადებაზე.

პარტიული კომიტეტებისა. და ბირეკლადი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა გულდასმით შეარჩიონ აგიტატორები და ყოველდღიურად გაიფიროთონ მათი გონებრივი არე, ეცადონ, რომ ყოველი მათგანი იდგეს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, კარგად ერკვეოდეს საერთაშორისო ცხოვრების რთულ ამბებში, მზად იყოს პასუხი გასცეს მსმენელთა მწვავე კითხვებზე.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია ის, რომ ამ მუშაობას ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ წარსულის ისეთი მაგნ. გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორიც არის სახალხო ქონების დატაცება და განიავება, მეკრთამეობა, ხელფასნობა, ეკონომისაკუთრული ტენდენციები, რელიგიური ადათ-წესები და სხვ. აგიტატორები ყოველთვის დროულად და მწვავედ როდი ეხმაურებიან ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებებს, სხვადასხვაგვარ ზმებს, ცილისმწამებლურ მონაჭორებს, რასაც მტრული და ობივატელური ელემენტები ავრცელებენ.

მოსახლეობასა და მშრომელებში მასობრივ-აგიტაციური მუშაობის ცენტრებია მუდმივმოქმედი აგიტპუნქტები. ამ უკანასკნელ წლებში მათი მუშაობა მნიშვნელოვნად გააქტიურდა. კარგად მუშაობენ, მაგალითად, ბათუმის რაიონის, სოფლების ხელვაჩაურისა და ოხალნარის, მაზარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ და სხვა სოფლის მუდმივმოქმედი აგიტპუნქტები. მოსაწონია წითელწყაროსა და საგარეჯოს რაიონების მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციების ინიციატივა, რომლებმაც ფუშალოდ ყანება და ფერმებში შექმნეს მუდმივმოქმედი აგიტპუნქტები.

ამ ბოლო დროს რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს ლექციური პროპაგანდა. რესპუბლიკურ საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით წაკითხული ლექციების რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა არ შეგვეშინია მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ლექციურ პროპაგანდაში. ეს არის აკადემიურობა და კონკრეტული ამოცანებისაგან მოწყვეტა, ზოგიერთი ლექციის დებულებათა არასაკმაო იდეურ-თეორიული და მეცნიერული დასაბუთება, ცუდი სტილი, რომელიც აჩრუნგებს მსმენელთა გრძნობებსა და ემოციებს.

მშრომელთა შორის მეცნიერული ცოდნის მასობრივი პროპაგანდის პოპულარული ფორმა გახდა ჩვენში სახალხო უნივერსიტეტები, რომლებიც წარმოიქმნენ თვით ხალხის ინიციატივის საფუძველზე.

ამასთანავე, საიდუმლო როდია, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრია ფორმალიზმი, ბევრია თვალისმაცვეველ შემოხვევები. ზოგჯერ გატაცებული არიან წმინდა რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ეფიქრობ, რომ ლენინის დებულება — უმჯობესია ცოტა და კარგი — უნდა გვახსოვდეს ასეთი უნივერსიტეტების შექმნისას.

კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი — კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, კულტურისა და დასვენების პარკები, — აღნიშნავს შემდეგ ამბ. სტურუა. —ეს დაწესებულებები პარტიული ორგანიზაციების დასაყრდენი პუნქტებია მათს მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში.

მოსაწონია გორის, რაიონის სოფელ ტყვიავის, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ნიდისათვის, წულეკიძის რაიონის სოფელ ეკანდიდის, წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთის, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელანის, კულტურის სახლებისა და ამბროლაურის რაიონის სოფელ სინაოლის, ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვალითის კლუბების მუშაობა.

მაგრამ ჯერჯერობით სოფლად ბევრია ისეთი კლუბები, სადაც თითქმის არაფერი არ კეთდება, ან, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ კინოფილმებს უჩვენებენ.

კიდევ უფრო ცუდად არის საქმე საკლუბეურნეო კლუბებსა და ბიბლიოთეკებში. სწორი არ არის, როცა ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი არ ზრუნავს სოფლის კლუბებისა და ბიბლიოთეკების კეთილმოწყობისათვის, იმისათვის, რომ მათ შეუქმნან მუშაობის ნორმალური პირობები, ამ საქმეს უყურებენ ვიწრო, უწყებრივი თვალსაზრისით.

რესპუბლიკის სოფლის რაიონებში 5 ათასზე მეტი თვითმქმედი მხატვრული კოლექტივია. ბევრი მათგანი ცნობილია როგორც ჩვენში, ისე ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

ამასთან ერთად სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოთ მხატვრული თვითმქმედების განვითარებას, მივანიჭოთ მას უფრო მასობრივი ხასიათი, ჩავაბათ მოსახლეობის ფართო ფენები, ახალგაზრდობა, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

დიდ მუშაობას ეწევიან საკლუბო დაწესებულებათა დრამატული წრეები. ზოგიერთმა ამ კოლექტივმა შემოქმედების ისეთ დონეს მიაღწია, რომ მათ სახალხო თეატრების საპატიო წოდება მიენიჭათ. მათ შორის საუკეთესოა ონის, ბორჯომის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ზესტაფონის, ცხაკაიის სახალხო თეატრები. მაგრამ ყველა სახალხო თეატრი როდი ამართლებს თავის საპატიო წოდებას. დუშეთის, ბოლნისისა და გალის სახალხო თეატრები, რომლებსაც ყველა პირობა აქვთ ნაყოფიერი საქმიანობისათვის, ცუდად მუშაობენ.

სოფლის მოსახლეობის მხატვრულ მომსახურებას ეწევიან აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია და სახელმწიფო დრამატული და მუსიკალური თეატრები. მაგრამ მათი მუშაობა სოფლის მოსახლეობის მომსახურებისათვის დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. მეტწილად ფილარმონიის სამხატვრო ბრიგადები და სახელმწიფო თეატრები საქმეტაკლებსა და კონცერტებს მართავენ რაიონულ ცენტრებში, ხოლო რაიონულ ცენტრს დამორებულ სოფლებს მხედველობაში არ იღებენ.

უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ სუსტად უწევენ კულტურულ შეფობას სოფელს თეატრალური კოლექტივები, მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა კავშირები, თეატრალური საზოგადოება.

მოსახლეობის კულტურული მომსახურება ბევრად არის დამოკიდებული ბიბლიოთეკების ნაყოფიერ მუშაობაზე. ადამიანის ყოველმხრივი განვითარება, მისი მორალური ჩამოყალიბება წარმოუდგენელია ისე, თუ ის სისტემატურად არ კითხულობს წიგნს.

ბევრი ჩვენი ბიბლიოთეკა სოფლის მოსახლეობაში წიგნის ფართო პროპაგანდის მძლავრი კერაა. ასეთია, მაგალითად, ზესტაფონის რაიონული ბიბლიოთეკა. ნაყოფიერად მუშაობენ სოფლიის რაიონის სოფელ ანაგის სასოფლო ბიბლიოთეკა, ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის, ამაშის რაიონის ძველი ამაშის, ზესტაფონის რაიონის მეორე სეირის, ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსის სასოფლო ბიბლიოთეკები, გურჯაანის და ცხაკაის რაიონული ბიბლიოთეკები.

სამწუხაროდ, ყველა რაიონული და სასოფლო ბიბლიოთეკა როდი მუშაობს ასე.

ბიბლიოთეკებს ნორმალურ მუშაობაში ბევრად უშლის ხელს ის, რომ სწორად არ არის დაკომპლექტებული მათი წიგნის ფონდი. ხშირად ბიბკოლექტორი არ ითვალისწინებს სოფლის ბიბლიოთეკების განაცხადებს, სათანადო რაიონის ეკონომიურ პროფილსა და ეროვნულ შემადგენლობას და მექანიკურად გზავნის ლიტერატურას. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ზემო ბარღებში გაგზავნეს წიგნები, რომლებიც სრულებით არ შეესაბამება ბიბლიოთეკის პროფილს: შეიდი ცალი „ქართული ამბოხოგრაფია“, ექვსი ცალი „ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები“, ათი ცალი „ფიზიკის ინსტიტუტის შრომები“.

ბიბკოლექტორმა სამტრედიის რაიონის ერთ-ერთი სოფლის ბიბლიოთეკას დიდი რაოდენობით გაუგზავნა წიგნი „ქვანახშირის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების გზები“.

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში დიდ როლს ასრულებენ მუზეუმები, საკიდ თავმოყრილია სულიერი და მატერიალური კულტურის მრავალი ექსპონატი, დოკუმენტი, რომლებიც ასახავენ ხალხის ბრძოლას ნათელი, ბედნიერი მომავლისათვის. მაგრამ ზოგიერთ მუზეუმში (ბოლნისის, ახალქალაქისა და სხვა მუზეუმებში) საბჭოთა პერიოდის მასალები საკმაოდ არ არის წარმოდგენილი, სრულად არ არის გაშუქებული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი ჩვენი საზოგადოების განვითარების საქმეში, არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მოსახლეობაში სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა.

ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, საწარმოებმა და დაწესებულებებმა კარგი ინიციატივა გამოიჩინეს, როცა საზოგადოებრივ საწყისებზე მოაწყეს მუზეუმები და სამხატვრო გალერეები. ამჟამად რესპუბლიკაში ოცდახუთზე მეტი ასეთი მუზეუმი და სამხატვრო გალერეაა. ამ ინიციატივას ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი.

სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის წარმატებას კადრები წყვეტენ. უკანასკნელ ხანს ეს დაწესებულებანი მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ კვალიფიციური მუშაკებით, მათ შეემატნენ ემაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები.

მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა კულტურის სახლებში, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში ნიშნავენ პირებს, რომლებიც არ იცნობენ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფორმებს და არც სურვილი აქვთ ისწავლონ და დაეუფლონ ამ ფორმებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომავალ 50 წლისთავთან დაკავშირებით ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ფართოდ გაიშალა მუშაობა კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების სანიმუშო წესრიგისათვის. ცალკეული რაიონები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კისრულობენ კონკურტულ ვალდებულებებს განახორციელონ „კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კეთილმოწყობა, მეიდინარე რომონტი, შეიძინონ მუსიკალური „ინსტრუმენტები და საჭირო ინვენტარი, შენობები უზრუნველყონ გათბობითა და განათებით, ფართო მასშტაბით დაიწყონ ახალ დაწესებულებათა მშენებლობა. ასეთი ვალდებულებანი უკვე იკისრეს გორის, თელავის, ზუგდიდის და ზოგიერთმა სხვა რაიონმა. ეს წამოწყება მისაბაძია. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რესპუბლიკის ყველა რაიონმა დაუჭიროს მხარი ამ წამოწყებას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის ყველა დიდ დასახლებულ პუნქტში იყოს კეთილმოწყობილი კლუბი და ბიბლიოთეკა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი სოფლის კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების შუშაობის დონის ასამაღლებლად, ჯერ კიდევ საკმაო პრაქტიკულ დახმარებას როდი უწევენ ადგილობრივ სასოფლო კულტურულ დაწესებულებებს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ სისტემატურად და საფუძვლიანად უნდა მოაკეთოს ხელი სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკითხებს.

ბევრი რა სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების საკითხს, მომხსენებელმა თქვა:

ყველასათვის კარგად ცნობილია ქართველ კინემატოგრაფისტთა წარმატებანი 50 წლის მანძილზე. ჩვენი კინოს ზრდასთან ერთად ფართოვდებოდა რესპუბლიკის კინოქსელი, ეფუძნებოდნენ მშრომელთა კინომომსახურება.

კინოქსელი კარგად ემსახურება მაზარაძის, ამბროლაურის, ახალქალაქის, გულრიფშის, ზუგდიდისა და რესპუბლიკის ზოგიერთი სხვა რაიონის სოფლის მშრომელებს. მაგრამ სოფლის მოსახლეობის კინომომსახურებაში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გვაქვს დიდი ნაკლოვანებანი და სწორედ მათ უნდა მიაქციონ ყურადღება პარტიულნი, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, კინოფიკაციისა და კინოგაქირავების ორგანოების მუშაკებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულ სოფელს, თვითეულ დასახლებულ პუნქტს ჰქონდეს კარგი სტაციონარული კინოდანადგარი. ამისათვის ფართოდ უნდა გავშალოთ კინოთეატრებისა და კლუბების მშენებლობა.

სოფლის მოსახლეობის კინომომსახურებაში მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება მოძრავ კინოდანადგარებს. ისინი სოფლის მშრომელებს მოემსახურებიან, სანამ ყოველ სოფელში არ იქნება სტაციონარული კინოდანადგარი.

ლაგოდეხის, გურჯაანის, ამბროლაურის, ზუგდიდის და რესპუბლიკის სხვა რაიონების მოძრავი კინოდანადგარების მექანიკოსებში კეთილსინდისიერად ეკიდებიან თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას. მაგრამ ყველა კინომექანიკოსი როდი მუშაობს ასე. რესპუბლიკის კინოქსელი ჯერ კიდევ არ არის დაკომპლექტებული კინომექანიკოსთა კვალიფიციური კადრებით. კინომექანიკოსთა კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეც არ არის კარგად.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა ყოველდღიურად უნდა იზრუნონ სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესებისათვის, კონკრეტული დახმარება გაუწიონ კინოფიკაციის ადგილობრივ ორგანოებს ის საკლოვანებათა აღმოფხვრაში, რომლებიც ხელს უშლიან რესპუბლიკის კინოქსელის ნორმალურ მუშაობას.

პარტია დაუცხრომლად ზრუნავს ყველა საბჭოთა ადამიანის, მათ შორის სოფლის მშრომელთა ფიზიკური განვითარებისა და გაკაჟებისათვის.

ახლა რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფიზიკური კულტურის 1.800-ზე მეტი კოლექტივია. აქ ირიცხება 243.000-ზე მეტი კაცი. სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივთა გაზრდილ რაოდენობრივ ზრდასთან ერთად მაღლდება სოფლელ სპორტსმენთა სპორტულ-ტექნიკური ოსტატობა.

რესპუბლიკის ბევრ სოფელში ამ ბოლო დროს შეიქმნა სასპორტო ბაზები — ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები, მძლეოსანთა სირბილი ბილიკები და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის, გურჯაანის რაიონის სოფელ ვახისუბნის კოლმეურნეობათა, გარდაბნის რაიონის ბარკეთილის საბჭოთა მეურნეობის წამოწყება. ამ რაიონებმა წარმატებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გეგმა და იკისრეს ვალდებულებანი თავიანთ ტერიტორიებზე საკუთარი სახსრებით შექმნან კომპლექსური სასპორტო ბაზა (სტადიონი, საცურავი აუზი, სასპორტო დარბაზი და სასპორტო მოედნები). ვალდებულებით გათვალისწინებულია, რომ კომპლექსური ბაზის შენებლობა დამთავრდება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის. ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ეს ინიციატივა. ამ რაიონების კოლმეურნეთა წამოწყებას მხარი უნდა დაუჭიროს რესპუბლიკის ყველა წამყვანმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ.

პარტიის რაკომებმა, რაიონულმა აღმასკომებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ფიზკულტურულ-სპორტული კოლექტივების მუშაობის საკითხებს.

რესპუბლიკის ბევრი რაიონი უზრუნველყოფილი არ არის ფეხბურთულ-ფრენბურთის კადრებით. სოფლის სკოლებში არ ჰყოფნით ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები და ამიტომ ფიზკულტურის გაკვეთილებს ხელმძღვანელობენ სხვა საგნების მასწავლებლები (ლენინგორის, ლმანისის და სხვა რაიონები). გარდა ამისა, სასოფლო რაიონებში იგრძნობა კვალიფიციურ მწვრთნელთა მწვავე ნაკლებობა. და ეს დიდ გავლენას ახდენს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დონეზე.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ საქართველოს სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირთან ერთად სერიოზულად უნდა ითქვნონ ფიზკულტურულთა კადრების მომზადების, აღზრდისა და გაწაფრების საკითხზე, რათა სოფლის რაიონები უზრუნველყონ შესაბამისი სპეციალისტებით.

წელს ეწყობა სოფლის სპორტსმენთა სრულიად საკავშირო სპარტაკიადა, მომავალ წელს კი — სსრ კავშირის ხალხთა მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადა, რომელიც მიეძღვნება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს. რესპუბლიკის სპორტსმენთა წინაშე დასახულია ამოცანა გულმოდგინედ მოემზადონ და წარმატებით გამოვიდნენ ამ სპორტულ ფორუმებზე.

პარტიულმა ორგანიზაციებმა სოფლის მოსახლეობაში მთელი მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა უნდა დაუქვემდებარონ ძირითად ამოცანებს, რომლებსაც საფუძველად უდევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებული შექმნა.

მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრში უნდა იყოს ადამიანი — სოფლის მშრომელი, მატერიალური დოვლათის შემქმნელი — თავისი მდიდარი სულიერი და კულტურული მოთხოვნილებებით.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ისე უნდა წარმართონ, რომ მან ხელი შეუწყოს სოფლის მშრომელთა აღზრდას პარტიისადმი, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებისადმი ერთგულების სულისკვეთებით, ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით.

დიდი ამოცანები დგას რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების წინაშე მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობის გაძლიერების საქმეში დიდი ოქტომბრის 50 წლისთავთან და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა საბჭოსწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

ფართო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უნდა გავაჩაღოთ აგრეთვე სოფლის კულტურის სახლებში, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში საქართველოს ერონგული კულტურის სახელოვანი დღესასწაულის — დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის გამო.

დასასრულ ამბ. სტურუამ თქვა: რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ემზადებიან სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობისათვის, ყოველ ღონეს იხმარენ, რომ აღმოფხვრან ხაკლოვანებანი სოფლის მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში და ხელ წარმატებებს მიაღწევენ სოფლის მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

ამბ. დ. გ. სტურუას მოხსენების გამო დაიწყო კამათი.

კომუნისტური მშენებლობის წარმატებები. — ამბობს საქართველოს კომპარტიის იფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. კობახია**, გაუფერულად დაკავშირებულია მასების შეგნებასთან, შემოქმედებითს აქტივობასთან. ჩვენი პარტია თავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში მშრომელთა შეგნებისა და ინიციატივის ამაღლებისათვის უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

ამჟამად აფხაზეთის სოფლებში მუშაობს 25 ათასზე მეტი აგიტატორი, რომლებიც გაერთიანებული არიან 225 აგიტკოლექტივში. მსგავი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებთან საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებს პოლიტიკური განათლების 18 კაბინეტი. მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ღიდმნიშვნელოვანი კერებია კლუბები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, კინოდანადგარები, რომელთა რიცხვი ჩვენს სოფლებში განუწყვეტლივ იზრდება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები ეკონომიკის, ფიზიკური ფულდასმით მუშობენ ეკონომიკის, ზიზგანი რეზერვების გამოყენების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შრომის სტიმულირების საკითხებზე.

მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ პოლიტიკური აგიტაციის სოფლად ჯერ კიდევ ყოველთვის როდი უკავშირდებენ წარმოების კონკრეტულ ამოცანებს, მთელ ოიგ საოლქოში პირველადი პარტიული ორგანიზაციები შემთხვევის მიხედვით, ტრაფარეტულად აძლევენ ინსტრუქციებს აგიტატორებს, საკმაოდ ვერ განუმარტავენ სოფლის მშრომელთა უმნიშვნელოვანეს ამოცანებს.

მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. ბობრონიძე** აღნიშნავს, რომ რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი დიდ მუშაობას ეწევიან სოფლად.

მხატვრული თვითმოქმედების განვითარებას დიდად უწყობს ხელს კულტურულ დაწესებულებათა კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მარტო უკანასკნელ შვიდ წელიწადში მხიანში, მოისპირში, ნოიელმთაში, ცხემლისხიდში, გურიანთსა და სხვა სოფლებში აიგო კეთილმოწყობილი კლუბები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები. კოლმეურნეობათა სახსრებით აგებული კულტურის კერები უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, რადიომიმღებებით, ტელევიზორებით. ახალ ხუთწლედში კულტურულ-საგანმანათლებლო ნაგებობათა რიცხვი კიდევ უფრო გადიდდება.

რაიონში განხორციელებულია ყველა სოფლის კინოფიკაცია. ძირითადად ლიკვიდირებულია კინოსეანსების ჩაფუშვა, იცავენ ფილმების ჩვენების გრაფიკს. მარტო შარშან კინოთეატრები ერთ მილიონზე მეტ მაყურებელს მოემსახურნენ.

ამ უკანასკნელ წლებში აკეთეს სოფლებში დიდი მუშაობა შესრულდა კულტურულ მშენებლობაში. სანე ოცდაა სოფლებმა, კეთილმოწყობილია კოლმეურნეობათა ცენტრები, აიგო მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ობიექტები. სულ უფრო დაიმკვიდრა კოლმეურნის კარმიდამო. სოფლის მოსახლეობის ყოფაცხოვრებაში მკვიდრდება რადიო, კინო, ტელევიზია. ამჟამად სოფლის მშრომელებს მომსახურებას უწევს 234 კლუბი, კულტურის სახლი და ბიბლიოთეკა. კინოთეატრების, კინოდანადგართა და მოძრავი კინოს რიცხვი 161-ს აღწევს. განხორციელებულია 148 სოფლის ელექტროფიკაცია და 125 სოფლის რადიოფიკაცია.

მაგრამ სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები ჯერ კიდევ ვერ გახდნენ კულტურის მძლავრი კერები. ზოგიერთი მათგანი ძველებურად მუშაობს, ნაკლებად აწყობს კონცერტებს, მხატვრული თვითმოქმედების საღამოებს და, რაც მთავარია, დაბალია მათი ღონისძიებების იდეურ-მხატვრული დონე. ამას დაუთმო განსაკუთრებული ყურადღება პლენუმზე საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. თხილაიშვილმა.** კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, თქვა მან, მუშობენ კამპანიურად, ვერ ებამენ მხატვრულ თვითმოქმედებაი რაც შეიძლება მეტ მშრომელს. ეს იმით აიხსნება, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობენ იდეოლოგიური მუშაობის ამ დარგს. ბევრ სოფელს, განსაკუთრებით ეს შეეხება მაღალი მთის სოფლებს, არა აქვს კლუბები, ბიბლიოთეკები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. სუსტად არის დაყენებული მუშაობა ამ დაწესებულებების უზრუნველსაყოფად კვალიფიციური, თავისი საქმის მოყვარული კადრებით. მაგალითად, აჭარის სოფლებში კულტურის 238 მუშაკიდან მხოლოდ 14-ს აქვს უმაღლესი, 38 მუშაკს კი — საშუალო სპეციალური განათლება.

ამბ. თხილაიშვილმა რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წინაშე დააყენა საკითხი, რომ ყველა სოფელში განხორციელდეს სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, აღადგინონ წინათ გაუქმებული საშტატო ერთეულები, ყურადღება მიაქცეონ სოფლის კულტურულ კადრების კადრების მომზადების გაუმჯობესებას.

ჩვენ ყოველდღიურად ვკრძნობთ პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, თქვა საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ყიფიანმა.** ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა სოფლის მშრომელთა კულტურული დონე. მათი ცხოვრება წლითიწლობით უახლოვდება ქალაქის მშრომელთა ცხოვრების დონეს. სოფლის მშრომელები უფრო ბრუნავენ როგორც თავიანთი ცოდნის ამაღლებისათვის, ისე გარეგნობისთვისაც.

მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი რაიონის მოსახლეობის კულტურული მომსახურების საქმეში. რაიონში არა გვაქვს არც ერთი ტიპური პროექტით აშენებული კულტურის სახლი, სოფლის კლუბი თუ ბიბლიოთეკა. ეს დაწესებულებები ძეტწილად ცუდ შენობ

ინდოეთის პრემიერის მიმართვა

დელი, 26 იანვარი. (საკდესი). ინდოეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელსაც ჯავაჰარლალ ნერუ და ლალ ბაჰადურ შასტრი ახორციელებდნენ, არ შეიცვლება, განაცხადა დღეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ, რომელიც რესპუბლიკის დღესთან დაკავშირებით გამოვიდა სრულიად ინდოეთის რადიოთი.

ინდოეთი, ხაზგასმით აღნიშნა ინდირა განდიმ, ყოველთვის ახორციელებდა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას. „საჭიროდ ვდებ პირობას, რომ მომავალშიც ამ პოლიტიკას განვახორციელებ“.

ინდირა განდიმ თქვა, რომ ყოველი ღონისძიებით შეეცდება მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას. ჩვენ, თქვა მან, სრულად შეავსებთ ტაშკენტის დეკლარაციის დებულებებს.

პრემიერ-მინისტრი შეეხო ინდოეთის წინაშე მდგარ საშინაო პრობლემებს და თქვა, რომ აწყვამად უმთავრესია სასურსათო პრობლემა. ამ პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებაა, თქვა მან.

შეეხო რა ინდოეთის ეკონომიური განვითარების გეგმებს, ინდირა განდიმ აღნიშნა, რომ მთავრობას განზრახული აქვს დაიჭიროს მე-4 ხუთწლიანი გეგმის შემუშავება. მან განაცხადა, რომ სახელმწიფო სექტორი კიდევ უფრო განვითარდება. ინდირა განდიმ აგრეთვე აღნიშნა, რომ ინდოეთს დიდი სიძნელეები აქვს ეროვნული ენის დანერგვასთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრმა მოუწოდა ბენგალელ ხალხს გააძლიერონ მეცადინეობა ინდოეთის წინაშე მდგომ პრობლემათა გადასაჭრელად.

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲛᲘᲚᲝᲕᲐ

დელი, 27 იანვარი. (საკდესი). ტაშკენტის დეკლარაცია შეესაბამება ინდოეთის ეროვნულ ინტერესებს. ხალხი და პოლიტიკური პარტიები უნდა დაეხმარონ მთავრობას ამ დეკლარაციის განხორციელებაში, განაცხადა გუშინ ბომბეიში ინდოეთის ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა, პარლამენტის წევრმა კრიშნა მენონმა.

მიტინგზე, რომელიც მოეძღვნა რესპუბლიკის დღეს, მენონმა აღნიშნა, რომ უდიდესი მიღწევაა ინდოეთისა და პაკისტანის ნორმალური ურთიერთობის აღდგენა.

ᲰᲣᲛᲐᲜᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘ

ᲡᲐᲜᲝᲘ, 26 იანვარი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნის მე-5 წლისთავისა და მთავრის კალენდრით ახალი წლის, გამო ჩუნგბოს ცენტრალური ოლქის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის კომიტეტმა გაათავისუფლა სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული არმიის 15 ოფიცერი, რომლებიც ტყვედ ჩაიგდეს შარშან.

◆

ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲒᲘ ᲣᲢᲔᲕᲔᲜ

ᲡᲐᲜᲝᲘ, 27 იანვარი. (საკდესი). მიღებულია ცნობები, რომ სამხრეთ-ვიეტნამის განთავისუფლების არმიის ნაწილებმა 18 იანვარს შეტევა დაიწყეს საგონის ჯარების მთელ რიგ პოზიციებს სონტინის რაიონში, კუანგგაის ჩრდილოეთით. წინასწარი მონაცემებით, როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო აღნიშნავს, ამ შეტევის შედეგად საგსებით გაანადგურეს მარიონეტული ჯარების ოცეული და ასეული.

◆

ᲡᲢᲠᲘᲥᲘᲣᲠᲘ ᲣᲑᲔᲚᲣᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ�გᲔᲜᲢᲘᲜᲐᲨᲘ

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ, 27 იანვარი. არგენტინის ჩრდილოეთ პროვინციებში კვლავ უარესდება მდგომარეობა. ძლიერი კოკისპირული წვიმა თავს დაატყდა არგენტინის სხვა რაიონებსაც. თუ ერთი კვირის წინ კატასტროფული მდგომარეობა მარტო სანტა-ფეს პროვინციაში იყო, ახლა წყალდიდობა მოედო აგრეთვე მისიონესის, კარიენტეს, ფორმოსის, სალტის, ენტრე-რიოსის, ჩაკოს და ტუკუმანის პროვინციებსაც. მდინარეების პარანის, პარაგვაისა და მათი შენაკადების დონე კვლავ მატულობს. წყალმა წალეკა ასეულათასობით ჰექტარი სახნავები და საძოვრები. წალეკა ასობით დასახლებული პუნქტი. იღუპება პირუტყვი. მოსახლეობაში არის მსხვერპლი. როგორც გაზეთები იუწყებიან, არსებითად მთლიანად განადგურდა ბამბის მოსავალი ჩაკოს პროვინციაში და მარცვლეულისა — კორიენტეს პროვინციაში. (საკდესი).

◆

ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 27 იანვარი. (საკდესი). 32 მილიონი ამერიკელი კვლავ სიღატაკეში ცხოვრობს, ამერიკის შეერთებული შტატების თვითმოქმედი მოსახლეობის 4,1 პროცენტი კვლავ უმუშევარია. ამასთან ზანგთა შორის უმუშევრობის დონე ერთიორად უფრო მაღალია, ვიდრე თეთრკანიანთა შორის. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო არა აქვს ახალგაზრდა ამერიკელთა 13 პროცენტს. ეს ფაქტები იმუღებულია აღიაროს პრეზიდენტმა ჯონსონმა თავის წერილში ეკონომიურ საკითხებზე, რომელიც დღეს აქ გამოქვეყნდა. ამ წერილთან ერთად ჯონსონმა კონგრესს გაუგზავნა პრეზიდენტის ეკონომიურ მრჩევლთა ყოველწლიური მოხსენება. ორივე დოკუმენტში შეჯამებულია გასული წლის ეკონომიური შედეგები.

გასულ წელს კომპანიების წმინდა შემოსავალი 20 პროცენტით გაიზარდა, აღნიშნულია ანგარიში. ამასვე დროს 26 მილიონ ამერიკელს, რომლებიც სიღატაკეში იმყოფებიან, სახელმწიფოსგან არავითარი დახმარება არ მიუღია.

ეკონომიური მრჩევლები აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტი „სთხოვს კონგრესს მიანიჭოს უფლება, რომ უმტესად ხელშესაწყობი ერის რეჟიმი შერჩევით შეუფარდოს იმპორტისათვის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, მათ შორის საბჭოთა კავშირს“. ეკონომისტებს მიაჩნიათ, რომ „ამ ვაჭრობის უეცარი გაფართოება საეჭვოა, მაგრამ ცალკეული ფირმებისათვის და ცალკეულ სახეობათა პროდუქციისათვის ვაჭრობის გადიდების შესაძლებლობანი შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს“.

საბჭოთა კავშირი

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ

მ. ა. სუსლოვის სიტყვა

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XI ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲐᲖᲔ

26 იანვარს იტალიის კომპარტიის XI ყრილობაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაური სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, რომელმაც საბჭოთა კავშირის კომუნისტების, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალე საბრძოლო სალამი გადასცა მომმე იტალიის კომპარტიის XI ყრილობას. ყველა იტალიელ კომუნისტს.

თქვენი პარტიის ყრილობა, განაცხადა მ. ა. სუსლოვმა, ისეთ დროს მიმდინარეობს, როცა რამდენადმე გართულდა საერთაშორისო ვითარება.

დანაშაულებრივი ომი, რომელიც გააჩაღეს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, ინტერვენცია დომინგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, ლათინური ამერიკის, აფრიკისა და აზიის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა, სხვა აგრესიული მოქმედება — ყოველივე ეს მოწმობს ამერიკის იმპერიალიზმის შორს გამიზნულ განზრახვებს. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები აქეზებენ და მხარს უჭერენ გერმანიის მილიტარიზმს, რომელიც ახლა აშკარად აცხადებს თავის რევანშისტულ მიზნებს და პრეტენზიებს ატომურ იარაღზე. საბჭოთა კავშირს, სხვა სოციალისტურ, ქვეყნებს ყველა ხალხს — და უწინარეს ყოვლისა ევროპის ხალხებს — არ შეუძლიათ შეურიგდნენ და არც შეურიგდებიან იმას, რომ ევროპის ცენტრში აღორძინდეს აგრესიის კერა.

საბჭოთა კავშირი, თქვა შემდეგ მ. ა. სუსლოვმა, ყოველმხრივ უჭერს მხარს მომმე ვიეტნამელ ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის ამერიკის იმპერიალიზმის ბარბაროსული აგრესიის წინააღმდეგ. ვიეტნამის მშრომელთა პარტიასთან, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმების შესაბამისად ჩვენმა ქვეყანამ, განსაკუთრებით ამ ბოლო წელს, სერიოზული დახმარება გაუწია ვიეტნამს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. საბჭოთა ხალხი შეასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას მომმე ვიეტნამელი ხალხის წინაშე!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაური შემდეგ შეეხო საბჭოთა კავშირში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ზოგიერთ საკითხს და განსაკუთრებით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იმ პლენუმების გადაწყვეტილებებს, რომლებიც გაიმართა 1964 წლის დამლევს და 1965 წელს.

თქვენი პარტია, თქვა შემდეგ მ. ა. სუსლოვმა, — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი უდიდესი რაზმი, — ამ დღეებში აღნიშნავს თავის სახელოვან 45-ე წლისთავს, რომელიც ემთხვევა მეორე ღირსშესანიშნავ თარიღს — ანტონიო გრამშის დაბადების 75 წლისთავს.

გზა, რომელიც იტალიის კომპარტიამ განვლო, იოლი როდი იყო. მას წილად ხვდა 20 წლის იატაკქვეშ მუშაობა და ფაშისტური დევნა. იტალიელი კომუნისტები იტალიის მოკლენებით მდიდარი ისტორიის შესანიშნავი ფურცლის—განთავისუფლების სახელოვანი მოძრაობის ბირთვს შეადგენდნენ. ომისშემდგომ წლებში თქვენ არაერთხელ მოიგეგრიეთ რეაქციის ცდები უკუღმა შეეტრიალებინა იტალიის განვითარების ჩარხი. მაგრამ იტალიის კომპარტიამ, რომელიც შექმნეს იტალიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეებმა ანტონიო გრამშმა და პალმირო ტოლიატიმ, გადალახა ყველა სიძნელე, მაღლა ეჭირა და უჭირავს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის რევოლუციური ბრძოლის დროშა.

თქვენმა პარტიამ კლასობრივი და ანტიმონოპოლისტური ბრძოლის ახალი ფორმებითა და მეთოდებით გააფდიდრა მუშათა მოძრაობა. საბჭოთა ხალხს ახარებს ამ ბოლო წლებში თქვენი პარტიის წარმატებანი პარლამენტისა და მუნიციპალურ არჩევნებში, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მათი დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების გაფართოებისათვის ბრძოლაში.

შექმნილი საერთაშორისო ვითარება, განაცხადა დასასრულ მ. ა. სუსლოვმა, მოითხოვს მთელი რევოლუციური დემოკრატიული ძალების მოქმედების ერთიანობას და უწინარეს ყოვლისა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის რიგების შეკავშირებას.

თქვენთან ერთად დარწმუნებული ვართ, რომ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, რომელმაც მრავალი განსაცდელი გამოიარა, გადალახა აურაცხელი სიძნელე, გულმოდგინე მუშაობით მიაღწევს იმას, რომ შეაკავშიროს თავისი რიგები მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მტკიცე საფუძველზე.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა შემდეგ წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება იტალიის კომპარტიის XI ყრილობისადმი.

საბჭოთა კომუნისტები, ნათქვამია ამ დოკუმენტში, მიესალმებიან მომმე იტალიის კომპარტიას — იტალიის მუშათა კლასის მებრძოლ ავანგარდს, მშრომელთა მასების აღიარებულ ხელმძღვანელს, იტალიის ეროვნული ინტერესების ნამდვილ გამომხატველს. იტალიის კომუნისტური პარტია უდიდესი მასობრივი პარტიაა, თავისი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ძალაა.

იტალიის კომპარტია იმ დემოკრატიულ ძალთა ავანგარდშია, რომლებიც იბრძვიან ამ ქვეყნის დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკისათვის. იმპერიალიზმის აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ, მსოფლიო თერმოტომური ომის თავიდან აცილებისა და ყველა ხალხის უშიშროების უზრუნველყოფისათვის, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განხორციელებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი თავის მისალმებაში იტალიის კომუნისტებს უსურვებს ახალ წარმატებებს იტალიის მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის, თავისი ხალხის სოციალისტური მომავლისათვის ბრძოლაში.

მ. ა. სუსლოვის სიტყვა დიდი უურადღებით მოისმინეს და არაერთხელ დაჯილდოვეს მქუხარე ტაშით. (საკდესი).

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოში

პარიზი, 26 იანვარი. (საკდესი). დღეს გაიმართა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც საფრანგეთის მთავრობამ მოისმინა საგარეო საქმეთა მინისტრის მ. კუვ დე მიურვილის მოხსენება — „ბენ ბარკას მოტაცების საქმის“ დიპლომატიური შედეგები და საფრანგეთ-მაროკოს ურთიერთობაზე მისი ზეგავლენა.

პრემიერ-მინისტრის სტატს-მდივანმა ინფორმაციის საკითხებში ი. ბურუმა სხდომის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, თუ რა პოზიცია უკავია საფრანგეთის მთავრობას მაროკოს ოპოზიციის ლიდერის ბენ ბარკას მოტაცების გამო, რომელიც პარიზში მოხდა გასული წლის ოქტომბერში. ი. ბურუმა კერძოდ აღნიშნა, რომ 4 ნოემბრის შემდეგ საფრანგეთის მთავრობამ მთელი რიგი დემარშებით მიმართა მაროკოს ხელისუფალთ „ბენ ბარკას საქმის“ გამო. ი. ბურუმა განაცხადა, გამოძიებამ ცხადყო, რომ ამ საქმეში მონაწილეობდა „მაროკოს მთავრობა ან, ყოველ შემთხვევაში, ამ მთავრობის ერთი წევრი“.

ამასთან, განაცხადებაში, რომელიც ი. ბურუმა წაუკითხა ინფორმაციის სამინისტროში შეკრებილ მრავალ ჟურნალისტს, ნათქვამია, რომ „ბენ ბარკას მოტაცებაში მონაწილეობდა ბევრი ფრანგი“. ი. ბურუმა დაახასტა, რომ საქმე ეხება „სპეციალური ან პოლიციის სამსახურის ზოგიერთ აგენტსა თუ მოსამსახურეს“.

მთავრობამ დაადასტურა, განაცხადა ი. ბურუმა, რომ „ბენ ბარკას მოტაცების გარემოებებმა და განსაკუთრებით ამ მოტაცებაში ზოგიერთი აგენტისა თუ პოლიციელის შეგნებული ან შეუგნებელი მონაწილეობის შედეგად“ გამოვლინდა დაზვერვის სამსახურისა და პოლიციის სტრუქტურის და ორგანიზაციის, აგრეთვე მართლმსაჯულებასთან მათი ურთიერთობის ნაკლოვანებანი.

ამიტომ, თქვა მინისტრმა, მთავრობამ გადაწყვიტა მათი რეორგანიზაცია. საგარეო დოკუმენტაციისა და კონტრდაზვერვის სამსახური უკვე გადასცეს სამხედრო უწყებას. მთავრობის დავალებით უახლოეს დროში უნდა მომზადდეს პოლიციის რეფორმის გეგმა.

ᲘᲐᲠᲝᲜᲘᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲘᲫᲚᲔᲚᲔᲑᲘ

ტოკიო, 26 იანვარი. (საკდესი). იაპონიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება აღარ განახორციელოს ერთი წლის წინათ მიღებული ეკონომიკის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის საშუალო წლიურ ზრდას 8,1 პროცენტით. ეს გადაწყვეტილება, წერს უდიდესი ბუერეუხიული გაზეთი „მაინიჩი“, აიხსნება იმით, რომ მიღებულ პროგრამასა და იაპონიის ეკონომიკის ნამდვილ მდგომარეობას შორის, რომელიც ახლა დეპრესიას განიცდის, წარმოიშვა არსებითი შეუსაბამობა. ამასთან დაკავშირებით მთავრობას განზრახული აქვს შეიმუშაოს ეკონომიური განვითარების ახალი საწლიანი გეგმა.

ამრიგად, იაპონიის ეკონომიკის განვითარების ფართოდ რეკლამირებული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მრეწველობის პროდუქციის ზრდის მაღალ ტემპს, ფაქტიურად ჩაიფუშა. გაუარესდა იაპონიის საგადამხდელო ბალანსი, უეცრად გაძვირდა და კვლავ ძვირდება ფართო მოხმარების საქონელი, დეპრესია, რომელიც ეკონომიკას მოედო, ღრმავდება. მარტო მარწახ გაკოტრდა 6 ათასზე მეტი საწარმო, 8 პროცენტით გაიზარდა ფასები, შემცირდა წარმოება მრეწველობის ბევრ დარგში.

ახლა იაპონიის მთავრობა შეწუხებულია იმით, თუ როგორ გამოიყენონს იაპონიის ეკონომიკა დეპრესიიდან.

ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 27 იანვარი. (საკდესი). ვაშინგტონში მორიგი დიდი სკანდალის სუნი ტრიალებს. სენატის ორი კომისია — შინაგან საქმეთა და კუნძულსამფლობელოთა საკითხების და მთავრობის ორგანოთა საქმიანობის გამომკვლევი კომისიები ცდილობენ გამოარკვიონ, თუ როგორ მოახერხა მთავრობამ 24,5 მილიონ დოლარად მიეყიდა ოთხი კერძო კომპანიისთვის 35 ათასი აკრი სახელმწიფო მიწა კენტუკის შტატში, როცა იქაური ნავთობისა და საწვავი გაზების საბადოები 300 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

როგორც გაზეთი „ვაშინგტონ დეილი ნიუსი“ იუწყება, ეს გარიგება გასული წლის აპრილში მოხდა შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწის ჯონ კარვერის მეთვალყურეობით. როგორც გაზეთი წერს, კარვერმა უგულებელყო ამ სამინისტროს იურისტის ფრენკ ბერის აზრი, რომ მიწის ეს მონაკვეთი კენტუკიში 24,5 მილიონ დოლარზე გაცილებით უფრო მეტი ღირს.

ᲛᲝᲠᲝᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ

რომი, 26 იანვარი. (საკდესი). დღეს ა. მორო სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების ლიდერებთან განაგრძობს კონსულტაციებს ახალი მთავრობის შემადგენლობის შესახებ. იგი ცდილობს კვლავ აღადგინოს კოალიციური „მემარცხენე ცენტრისტული“ მთავრობა.

როგორც გაზეთი „უნიტა“ წერს, საქმე ეხება კაბინეტის „გაუარესებულ შემადგენლობას“, რომელიც დაიშალა გასული კვირის დამლევს. გაზეთი აღნიშნავს, რომ მოროს სურს ახალ მთავრობაში შეიყვანოს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ყველა მიმართულების, მათ შორის უკიდურესი მემარჯვენე მიმართულების წარმომადგენლები, ყოფილი პრემიერ-მინისტრი მ. შელბა, რომელმაც სავალალო სახელი მოიხვეჭა წარსულში დემოკრატიულ ძალთა წინააღმდეგ მკაცრი რეპრესიებით. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოროს ასეთი განზრახვა, ისევე როგორც მის მიერ ჩამოყალიბებული ახალი მთავრობის კონსერვატიული პროგრამა, მკვეთრად ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის საჭიროებებს და იტალიის ხალხთა ფართო მასების ინტერესებს. გაზეთი წერს, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის სამი პარტნიორის ხელმძღვანელებს მემარცხენე ცენტრისტულ კოალიციაში მოლოდინის პოზიცია უკავიათ.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲐᲤᲔᲠᲮᲔᲑᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 27 იანვარი. (საკდესი). გუშინ ვაჭრობისა და განვითარების საბჭოს მესამე სესიაზე გამოვიდა ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის გენერალური მდივანი რაულ პრებიში.

მან სესიის ყურადღება მიაქცია იმას, რომ ენენვის 1964 წლის კონფერენციის გადაწყვეტილებანი უაღრესად არადამაკმაყოფილებლად სრულდება.

ᲗᲕᲔᲓᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲖᲠᲓᲒᲐ

ᲑᲝᲜᲝ. (საკდესი). 1966 წელს დასავლეთ გერმანიის არმიის რიცხვი 18.000-ით და უფრო მეტად გაიზრდება.

როგორც პრესა იუწყება, ბუნდესვერის ჯარების რიცხვი 1966 წლის დამლევს 455.000-ს მიაღწევს.

გარდა ამისა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს გეგმების შესაბამისად, მომდინარე წლის დამლევს დასავლეთ გერმანიის არმიაში იქნება აგრეთვე 183.000 „სამოქალაქო მოხელე, მოსამსახურე და მუშა“.

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ, ᲐᲖᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲐᲗᲘᲜᲣᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ

ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲛᲝᲘᲬᲝᲜᲔᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 26 იანვარი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გუშინ მოიწოდა საბჭოთა კავშირის ინიციატივა, რომ მოიწყოს საერთაშორისო კონფერენცია კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების საკითხებზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამუშაო ჯგუფმა კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების საკითხებზე გადაწყვიტა ეს კონფერენცია მოიწვიოს 1967 წელს პირველი საბჭოთა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვების ათი წლისთავის აღსანიშნავად.

კონფერენცია განიხილავს დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა გამოყენებას მეცნიერული და პრაქტიკული მიზნებისათვის. კონფერენციის მასალები ფიმნიშვნელოვანი ცნობების წყარო იქნება განვითარებადი ქვეყნებისათვის.

სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილება უნდა მოიწონოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მომდინარე წლის სექტემბერში.

ᲣᲯᲐᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 27 იანვარი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ თანმა წერილში 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტისადმი, რომელმაც განაახლა მუშაობა უენევაში, აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეის მე-20 სესიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა საკმაოდ გასაგებად განაცხადეს, რომ უენევის მოლაპარაკების ყველაზე გადაუდებელ მიზნად მიიჩნიეთ „რაც შეიძლება მალე დადოს ხელშეკრულება ატომური იარაღის პირდაპირი და არაპირდაპირი გავრცელების თავიდან აცილების შესახებ“.

უ თანი 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის ყველა დელეგაციას მოუწოდებს ყველაფერი იღონონ, რომ მიაღწიონ ამ „მარტივ მიზანს, რომელიც დაკავშირებულია პრობლემების რთულ კომპლექსთან“, და შეიმუშაონ შეთანხმება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.

გენერალურმა მდივანმა კომიტეტს გაუგზავნა რეზოლუცია ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, რომელშიც გენერალურმა ასამბლეამ ხაზგასმით აღნიშნა: საერთაშორისო ხელშეკრულება ისეთი უნდა იყოს, რომ შეუძლებელი გახდეს ატომური იარაღის გავრცელება რაიმე ფორმით.

უ თანმა კომიტეტის უურადღება მიაპყრო აგრეთვე მე-20 სესიის გადაწყვეტილებებს განიარაღებ ის მსოფლიო კონფერენციის მოწვევის, აფრიკის უატომო ზონად გადაქცევისა და იმის შესახებ, რომ საჭიროა აიკრძალოს ყველა სფეროში ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდა.

ᲡᲘᲠᲘᲜᲐᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲗᲝᲙᲘᲝ, 27 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირთან დადებული შეთანხმება საპაერო მიმოსვლის შესახებ და ახალი სავაჭრო შეთანხმება ხელს შეუწყობენ იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განმტკიცებას, განაცხადა დღეს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სირონამ, ამ განცხადებას შეიცავს სიროსა ინგარიში საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ. ანგარიში დღეს გაეგზავნა სიროსმ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე.

ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲑᲝᲜᲝ. (საკდესი). ლუქსემბურგში „საერთო ბაზრის“ წევრი ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მორიგ ტურის წინ ბონს მთავრობამ კვლავ მიმართა აშკარა პოლიტიკური ზემოქმედების მეთოდებს, რომლის ობიექტია პარიზი.

საგარეო საქმეთა მინისტრმა შროდერმა, ისევე როგორც ამის წინ კანცლერმა ერჰარდმა, გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლები ეცდებიან ლუქსემბურგში დაიცვან „საკუთარი გერმანული ინტერესები“ და ამიტომ დაიკავებენ „მტკიცე პოზიციას“.

ᲥᲐᲚᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲜᲘᲙᲔ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜᲓᲔᲚᲘᲐ ის მომენტი, როდესაც ლონდონში ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნების კენჭისყრის წინ ბრაზილიის წარმომადგენელმა პაჩეკამ „ჭალღმერთ ნიკეს“ ქანდაკება ფიფას პრეზიდენტს სტენლი როუზს გადასცა.

ქანდაკება რომ ჩაიბარა, როუზმა თქვა: „ᲛᲘ ივლისს „უემბლიზე“ ფინალური მატჩის შემდეგ პრიზს მიიღებს ღირსეული მფლობელი დროებით... ან სამუდამოდ“. აქ სტენლი როუზს მხედველობაში ჰყავდა ორი ქვეყნის — ბრაზილიისა და იტალიის ფეხბურთელთა გუნდები, რომელებსაც ეს პრიზი უკვე ჰქონდათ მოგებული ორჯერ.

როგორც ცნობილია, ფრანგი ჟიულ რიმეს ანდერძით პრიზი, რომელიც მან დაიარსა, — „ჭალღმერთი ნიკე“ (სურათზე მარჯვნივ), გაკეთებული თითქმის ორი კილოგრამი ბაჯალლო ოქროსაგან, სამუდამოდ ეძლევა იმ ქვეყნის ფეხბურთის გუნდს, რომელიც სამჯერ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი.

ფოტო იუპი—აას.ისა.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐᲤᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ კომუნისტური პარტიის XI ყრილობა სახელგანთქმული პრესის ბევრი ორგანოს ყურადღებას იპყრობს. გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ იტალიის კომუნისტური პარტია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოლიტიკური პარტიაა და რომ იგი დიდ როლს ასრულებს იტალიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. „იტალიის მუშათა კლასის უდიდესმა პარტიამ,—წერს პოლონური „ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ ᲚᲣᲓᲣᲗᲘ“ სპეციალური კორესპონდენტი ბუნიეკი, — ᲬᲐᲛᲝᲐᲧᲔᲜᲐ კონსტრუქციული წინადადებანი მთელი მემარცხენე, პროგრესული და დემოკრატიული ძალების ერთიანი მოქმედების შესახებ, ისევე როგორც იმ ეკონომიური მოდუნების დაძლევის კონკრეტული გეგმა, რომელსაც იტალია განიცდის“. ფრანგული „ᲝᲠᲝᲠᲘ“ და იტალიის ბევრი გაზეთი ყურადღებას უმახვილებენ იტალიელ კომუნისტთა მოწოდებას დაიწყოს ყოველმხრივი დიალოგი კათოლიკეთა მასებთან, განსაკუთრებით მშრომელ კათოლიკეთან ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ბევრი გაზეთი აკეთებენ იმ სიტყვის შინაარსს, რომელიც იტალიის კომპარტიის ყრილობაზე წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომპარტიის დელეგაციის მეთაურმა მ. ა. სუსლოვმა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ დიდ ყურადღებას უთმობს ვიეტნამის ომს, ამერიკის გაზეთები იუწყებიან, რომ ვაშინგტონი აპირებს კიდევ უფრო გააფართოვოს ომი ვიეტნამში და განახორციელოს ახალი ეტაპი აგრესიისა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ და „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი“ სავსებით იწონებენ ამგვარ გეგმებს, მაშინ, როცა „ნიუ-იორკ ტაიმსი“ მოითხოვს თავი შეიკავონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვისაგან. ცნობილი მიმომხილველი უოლტერ ლიპმანი „ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ ᲰᲔᲠᲐᲚᲓ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲨᲘ“ ათავსებს სტატიას, რომელიც ამუქებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წერილს კონგრესისადმი შეერთებული შტატების 1966-1967 საფინანსო წლის ბიუჯეტის შესახებ. ლიპმანი ხაზს უსვამს, რომ დაგეგმილ ბიუჯეტს საფუძვლად უდევს ასეგვანი ვიეტნამის ომისათვის.

ᲛᲝᲜᲢᲔᲚᲘ რიგი გაზეთები ამუქებენ 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობას, რომლის სხდომები დღეს განახლდება ჟენევაში. „დაძაბული ვითარება, რომელშიც მუშაობას იწყებს 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტი, — წერს ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო“, — კიდევ უფრო დაბეჯითებით მოითხოვს მისგან ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, იხმაროს ეფექტიანი ღონისძიებანი გამალებული შეიარაღების შესაზღუდავად“. გაზეთი მოუწოდებს დასავლეთის სახელმწიფოებს რეალისტურად მიედგნენ ვითარებას და დათანხ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

„საქართველოს კომუნისტი“ № 1

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის **„საქართველოს კომუნისტის“** პირველი ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** — მაღალი ჯილდო, დიდი მოვალეობა; პროპაგანდისტი მთავარი ფიგურაა პოლიტიკური სწავლების სისტემაში; **ფ. მახარაძე** — ვ. ი. ლენინი ორგანიზატორული მუშაობის შესახებ; **რ. წულუკიძე** — ეკონომიური სტიმულების როლი სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში და სხვ.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: **პარტიული ცხოვრება, „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის დასახმარებლად“; „ეურნალებისა და გაზეთების მიმოხილვა“; „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“**; **„პარტიული ქრონიკა“.**

პირველად თბილისში

ავსტრიელი კომპოზიტორის ნაწარმოები საქართველოს სიმფონიური ორკესტრის შესრულებით

□

ანტონ ბრუკნერის სახელს ძალიან იშვიათად შეხვდებით ჩვენს საკონცერტო აფიშებზე. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ამ გამოჩენილი ავსტრიელი კომპოზიტორის ცხრა სიმფონიიდან დღემდე თბილისში მხოლოდ მე-4 და მე-7 სიმფონიები იყო შესრულებული. ახლა კი მათ რიცხვს შეემატება მე-6 სიმფონიაც, რომელიც ამას წინათ კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოგვისმენეთ საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის შესრულებით და ლიე კილაძის დირიჟორობით.

ბრუკნერის შემოქმედების შედარებით ნაკლები პოპულარობის მიზეზი მისი შესრულების ტექნიკურ სირთულეში და მხატვრული შინაარსის სიღრმესა და სპეციფიკურობაშია. მსმენელობაში მაქვს სიმფონიების გრანდიოზული გარეგნული მასშტაბები, მეტად კომპაქტური, ხშირად პოლიფონიური მუსიკალური ქსოვილი, ორიგინალური ორკესტრობა, რომელშიც მკაფიოდ აისახა ბრუკნერის — თავისი დროის უდიდესი ორღანისტის შემსრულებლობითი გამოცდილება და სიყვარული „ინსტრუმენტთა მეფისადმი“. ხოლო მისი ქმნილებების მხატვრული სამყარო, რომელშიც თავისებურად არის გადახლართული გულუბრყვილო-იდილიური, ეთიკურ-ფილოსოფიური და რელიგიური მოტივები, განსაკუთრებულ მხატვრულ სიფაქიზესა და შემოქმედებით მობილიზებას მოითხოვს ინტერპრეტატორისაგან.

მე-6 სიმფონია ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს კომპოზიტორის შემოქმედებაში.

დირიჟორის — ლ. კილაძის სასასელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ერიდება ნაკლები წინააღმდეგობის გზით სიარულს. მის საკონცერტო პროგრამებში მუდამ შეხვდებით მსმენელისა და ორკესტრისათვის ახალ საინტერესო ნაწარმოებს, რომლის მომზადებასაც დირიჟორი ნამდვილი შემოქმედებითი ენთუზიაზმით ეკიდება. ამჯერადაც მან შეძლო დაერაზმა ორკესტრი საპასუხისმგებლო მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტად, ხოლო დაძაბული ყურადღება, რომლითაც დარბაზი უსმენდა ამ რთულ და დიდტანიან ნაწარმოებს, მუსიკოსთა უტყუარი წარმატების მაჩვენებელია.

ყველაზე უკეთ შესრულდა სიმფონიის I-ლი ნაწილი — მაესტოზო. კარგად იქნა გადმოცემული მუსიკის ამაღლებული საზეიმო ხასიათი, განცდათა სიღრმე და კეთილშობილურობა. კომპატეტურად, მწყობრად ჟღერდა ლითონის ჩასაბერი ჯგუფი — ბრუკნერის ორკესტრის ერთ-ერთი უმთავრესი გამომსახველი კომპონენტი. მიღწეულ იქნა, კერძოდ, მისი პლასტიკური მღერადი ხმოვანება. დამაჯერებელი იყო დრამატურგიული ხაზის განვითარება, რაც ექსტაზური კულმინაციით დაგვირგვინდა. კოდა წარმოგვიდგა, როგორც პირველი ნაწილის ოპტიმისტური დასასკვნი.

საზოგადოდ, ბრუკნერის სიმფონიების წარმატება ბევრად არის დამოკიდებული მათი მეორე ნაწილების, — ადაჟიოების შესრულების ხარისხზე. ბრუკნერი სამართლიანად არის მიჩნეული სიმფონიური ადაჟიოს სწორუპოვარ ოსტატად. აქ ყველაზე ნათლად ვლინდება კომპოზიტორისთვის დამახასიათებელი ფილოსოფიური სიღრმე და ამაღლებული ლირიკულობა.

თავისი მოცულობით ვეებერთელა მე-6 სიმფონიის ადაჟიო დამატებით სიძნელეებს უქმნის შემსრულებლებს. საკმარისია დაიკარგოს განვითარების ძირითადი „ნერვი“, და იგი გაჭიანურებულად, ამორფულად შეიძლება გეჩვენოს. დირიჟორმა და ორკესტრმა თავი გაართვეს ამ სიძნელეს, და ადაჟიო წარმოგვედგა როგორც ღრმა ფილოსოფიური პოემა, შთაგონებული მხატვრის აღსარება.

სიმფონიის მომდევნო ნაწილების შესრულებამ შედარებით ნაკლები შთაბეჭდილება დატოვა. სკერცო (მე-3 ნაწილი) ერთგვარად დამძიმებულად, მოუქნელად გამოიყურებოდა. შესრულებას აკლდა რიტმული სიმკვეთრე, სიფაქიზე. ფინალში პირველად ვიგრძენით გაჭიანურება, ერთგვარი სტატიკურობა, ფაქტურის ზედმეტი სიმკვრივე.

ამ შენიშვნების მიუხედავად, ბრუკნერის მე-6 სიმფონიის შესრულება მეტად საინტერესო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში. ქების ღირსი არიან ორკესტრის სოლისტები: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლ. ტყაბლაძე (ვალტორნა), გ. ბერიძე (ჰობოი), აკ. ჯანდიერი (საყვირი), ყ. მარგველაშვილი (ტრომბონი).

კონცერტზე წარმატებით შესრულდა აგრეთვე რახმანინოვის მე-2 საფორტეპიანო კონცერტი (სოლისტი ნ. გაბუნია) და ვებერის უვერტიურა „ობერონი“.

გ. ტორაძე.

ბიბლიოთეკა „შინ მიტანით“

უოველთვის ხალხმრავლობაა კვიისის ტუვიათუთიის მაღაროთასმამართველოს კულტურის სასახლეში. განსაკუთრებით ბევრი ხალხი დადის სასახლის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის გამგე დ. ჯაბიევი ხშირად დადის დაბის მცხოვრებლებთან. იგი ჩამოუვლის ხოლმე მკითხველებს, მიაქვს წაკითხული წიგნები და მოაქვს მათთვის ახალი.

მაღაროელთა დაბაში 200-ზე მეტი ახალგაზრდა მაღაროელი დაუსწრებლად სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, 150 შუშა მეცადინეობს საღამოს საშუალო სკოლაში. დიდ დახმარებას უწევს მათ ბიბლიოთეკა „შინ მიტანით“, როგორც აქ უწოდეს დ. ჯაბიევს. შუშა სტუდენტები დროს არ კარგავენ ლიტერატურის ძებნისათვის. დ. ჯაბიევმა იცის რა სჭირდება თვითეულ მის მკითხველს. თუ საჭირო წიგნი ადგილზე არ აღმოჩნდა, ბიბლიოთეკარი სხვა ბიბლიოთეკიდან იწერს მას. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: ლენტგხის საშუალო სკოლის მოსწავლეები თბილამურებით გასეირნებისათვის ემზადებიან.

ფოტო თ. ფურცხვანიძისა.

სპორტული ქრონიკა

□ **რეიკიავიკში** მიმდინარეობს საერთაშორისო საჭადრაკო ტრადიციული ტურნირი. უკანასკნელი ტურის წინ ლიდერობას იჭარჩენენს საბჭოთა გროსმაისტერი ე. ვასიუკოვი, რომელსაც 8 ქულა აქვს. მისი უახლოესი მეტოქეა ისლანდიელი გროსმაისტერი ფოლაფსონი — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

□ **ზაკოპანეში** (პოლონეთი) გაიმართა საერთაშორისო ტურნირი თბილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში. წარმატებით გამოვიდა პოლონელი ი. შიბილო, რომელიც გადახტა 103 მეტრზე. მეორე ადგილზე გამოვიდა საბჭოთა მოთხილამურე ა. წაქაძე. იგი გადახტა 102,5 მეტრზე.

□ **რიგაში** ვიუყვებოდით ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში გაიმართება ბრატისლავაში. იტალიის სახით ადიგ ერთმა ქვეყანამ გამოთქვა სურვილი. ასპარეზობაში მონაწილეობის მიღებაზე.

ჰავანა. (საქდესი). „საქართველოს სპორტსმენებ მა, რომლებსაც ძალიან დავუმეგობრდით, სიამოვნებით გავვიზიარეს თავიანთი გამოცდილება და გავიმხილეს ოსტატობის „საიდუმლოებანი“, — განაცხადეს კუბის სპორტსმენებმა, როდესაც ქართველი მოფარიკაკენი სამშობლოში გაიცილეს.

თბილისის გუნდი ჰავანაში ჩამოვიდა შესანიშნავი კუბელი მოფარიკავის რამონ ფონსტის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე. რამონ ფონსტმა 1904 წლის ოლიმპიადაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში თავის ქვეყანას მოუპოვა სამი ოქროს მედალი — რაპირით, დაშნით და ხმლით პირად პირველობაში (გასაოცარი მიღწევა!).

ჰავანის ტურნირში ქართველმა სპორტსმენებმა მოიგეს ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი.

საერთაშორისო პოლიტიკა

ჰავანაში შეძენილი მეგზაგროგა

დიდი წარმატება ხვდა ნუგზარ ასათიანს, რომელიც, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ხმლით მოფარიკავეთა ნაკრების გუნდის შემადგენლობაში იყო და გაიმარჯვა ტოკიოს ოლიმპიადაზე. პირველი ადგილი მოიპოვა აგრეთვე იური ოსიპოვმა (რაპირა.). „ვერცხლი“ წილად ხვდათ მ. კობრეიძეს, დ. ანდრიაძეს, შ. სულამანიძეს, ხოლო „ბრინჯაო“ — ჯულიეტა გიორგაძეს.

კუბელთა შორის პირველობა მოიპოვეს გუსტავო ოლივეროსმა (დაშნა) და მირეია როდრიგეზმა — პანამერიკული ასპარეზობის ჩემპიონმა.

სიახლე გუნდეგში

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდებმა დაიწყეს ახალი სეზონისათვის მზადება. სიახლენი მათს ხელმძღვანელობასა და შემადგენლობაში ბევრია.

დედაქალაქის „სპარტაკს“, „დინამოსა“ და „ლოკომოტივს“ სათავეში უდგანან მწვრთნელები ნ. ბულიგინი, ბ. სოლოვიოვი და ა. ბესალოვი. ადრე არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ცნობილი ფორვარდი ა. მამიკინი შეუდგა მწვრთნელის მოვალეობის შესრულებას ოდესის სკა-ში, „ორკის „ვოლგის“ გუნდის უფროსად დანიშნულია ა. პანიოვი.

ლიდერი „ტაიმ-აუტს“ იღებს

ჰავანა, 27 იანვარი. (საქდესი). ბეიჯინგის სპორტაკიადის ფესტივალის ტურნირის ლიდერი ლ. ბოლუგაევსკი მეოთხე მეტე ტურში ყიბმზე შეეთანხმდა ჰოლანდიელ **ვან დენ ბერგს.** ასეთივე შედეგი აღინიშნა ეიუგოსლავი ბ. ივკოვისა და მ. ფილიპის (ჩეხოსლოვაკია) შეხვედრაში. უნგრელმა ი. ბილეკმა მოუგო პოლანდიელ **ვან სხელტინგს,** მისმა თანამემამულემ **ლ. საბომ — ხ. ლემანს** (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ხოლო ტალინელმა ოსტატმა **ი. ნეიმ** დამარცხა ინდონეზიელი **ა. ბაჰტიარი.**

ახლა **პოლუგაევსკის** 9 ქულა აქვს, **ბილეკს** — 8,5, **საბოს** — 8, **ივკოვს** — 7,5 და **ნეის** — 6 ქულა.

საზღვარგარეთის სხვადასხვანაირნი

ოდესის „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელთა კოლექტივი ტურნირს მართავს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში. კაირაში სტუმრებმა ჩაატარეს პირველი მატჩი ორი კლუბის ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 2 : 1.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი შეედგა მსოფლიოს პირველობისათვის მზადებას. პირველი მატჩი გერმანელმა ფეხბურთელებმა გამართეს საარბრიუკენში ჩეხოსლოვაკიის შეიდგზის ჩემპიონ „დუკლასთან“ და დამარცხდნენ ანგარიშით 0 : 2.

ბერლინი. (ადგილობრივი). „ბერლინის ფეხბურთელთა ნაკრებმა ინგლისელ ფეხბურთელთა ნაკრებთან ერთად ბერლინში ჩამოსვლისთანავე ბ. ივკოვის „ბოლოს“ ბანაკი ეწვია. ინგლისელ ფეხბურთელთა ნაკრებს ბერლინ